

საქართველოს კანონი

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N20, 04.05.2005, მუხ. 143) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებები:

1. 36-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹ პუნქტი:

„2¹. ამ მუხლის მე-2 პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 78¹ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაზე, როდესაც სახელოვნებო/სასპორტო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს სახელოვნებო/სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში“.

2. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის V¹ თავი:

„თავი V¹ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელოვნებო/სასპორტო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სახელოვნებო/სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება

მუხლი 34¹ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელოვნებო/სასპორტო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სახელოვნებო/სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება

1. სახელოვნებო/სასპორტო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებას სახელოვნებო/სასპორტო განათლების საფუძვლების სწავლების მიზნით უფლება აქვს შეიმუშავოს სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამები ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა კონტინგენტისათვის და უზრუნველყოს მისი განხორციელება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.

2. სახელოვნებო/სასპორტო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სახელოვნებო/სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამების სწავლებას ახორციელებს თავისი წესდებისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებასთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

თბილისი,
2009 წლის _____